„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * დეკემბერი. 2024 * (10)103

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს!

„ჩვენს დროში სახლების ზომა გაიზარდა, მაგრამ ოჯახები დაპატარავდა... მედიცინა განვითარდა, მაგრამ ჯანმრთელობა გაუარესდა... ჩვენ მთვარეზე გავფრინდით, მაგრამ მეზობლები დაგვავიწყდა.... ქონება მოგვემატა, მაგრამ სიმშვიდე სადღაც გაქრა... გონება მოგვემატა, მაგრამ სიბრძნე დავკარგეთ... ნაცნობების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ნდობა და ერთგულება შემცირდა... ადრე სახლები თიხის იყო, ხოლო ადამიანების გულები ოქროსი... ეხლა კი სახლებია ოქროსი, ხოლო ადამიანების გულები ქვის...”

ილია მეორე

მვირფასო ასპინძელებო!

წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით მოგილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს, ყველას იმ რწმენით და იმედებით, რომ მომავალი წელი უფრო მეტად წარმატებული იქნება.

მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი სიახლე და სამომავლოდ დასახული გეგმები და პრიორიტეტები განვარხორციელოთ, როგორც წინა წლებში და კიდევ უფრო მეტად მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს.

დამდეგი 2025 წელი ჩვენი და ჩვენი ქვეყნისათვის ახალ-ახალი წარმატებების, გამარჯვებისა და მშვიდობის წელი ყოფილიყოს.

მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ურთიერთსიყვარულით შევძლებთ მუნიციპალიტეტში შევქმნათ ცხოვრების უკეთესი პირობები!

ჩვენს მუნიციპალიტეტს და სრულიად საქართველოს გაერთიანებას, გაძლიერებას, მიზნების ასრულებას, კიდევ უფრო მეტ წინსვლას, თქვენ და თქვენს ოჯახებს კი ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ბარაქასა და კეთილდღეობას გისურვებთ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

როსტომ მაგრაძველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

ვაჟა-ფშაველა

ახალო წელო

ახალო წელო,
ფიქრებით მწველო,
გთხოვ, რომ ცხოვრება
არ გაგვიძნელო.
მოგვშორდი, შხამო,
მოგვშორდი, გველო!
ახალო წელო,
ფიქრებით მწველო,
შენი სიკეთე თუმცა-კი
მჯერა,
ყური დამიგდე,
რასა გთხოვ ჯერა:

ვინაც არ იცის,
ასწავლე წერა;
მე უკეთესის
ჰანგების მღერა
მასწავლე, თორემ
დაგლოცავ ვერა.
გვიცოცხლე თავი,
გვიკურთხე მკლავი,
გვაშორე საქმე
ბილწი და შავი...
და მოგვეც ყველას
პირი და ზავი.
თუ არ მისმინო,
მოგიკვდეს თავი.

მუნიციპლიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები;

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

2. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე; ა. ტივაძე;

დეპუტატებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს და წინადადებებით გადაეგზავნა მერიას შემდგომი განხილვისათვის. ამასთან დაამტკიცეს: ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.“

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

მუნიციპალიტეტის მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში ძირითად პრიორიტეტებად ინფრასტრუქტურა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებებია განსაზღვრული.

მაკა ბერიძე



„მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს ჭროგრესის გზას, რომელიც მეტყველებს და აზროვნებს მშობლიურ ენაზე.“

ფიმიტრი ყიფიანი

მთავარანგელოზობა საროში



ქართული სულიერების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, არის და იქნება „მამული, ენა, სარწმუნოება!“ რომელშიც დიდი ილია ქართველი ერის გადარჩენას ხედავდა. სარწმუნოებაშია გამოხატული ერის იდენტობა, რისთვისაც ქართველი ერი, დღიდან მისი არსებობისა, სწორედ ამ იდენტობის გადარჩენისათვის იბრძოდა და დღემდე მოაღწია. რწმენაშია ადამიანის სიძლიერე. ერის არსებობა კი მაშინ დამთავრდება, თუ ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი ფორმულა დაიკარგება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქრიატიანული სამყარო ყოველწლიურად აღნიშნავს უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ დღესასწაულებს, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული „წმინდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა“ დღესასწაული „მთავარანგელოზობაა“. ეკლესიის სწავლების თანახმად წმინდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრების აღნიშვნა გადაწყდა ლაოდიკიის ადგილობრივ კრებაზე, რომელიც მეოთხე საუკუნის დასაწყისში ნიკეის პირველ მსოფლიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიმართა და იგი ყოველწლიურად 21 ნოემბერს აღინიშნება.

აღნიშნული რელიგიური დღესასწაული საუკუნეებია საზეიმოდ აღინიშნებოდა მესხეთშიც. თუმცა ცნობილი ეპოქალური მოვლენების გამო მან დაკარგა ის სახე, რომელიც მას ჰქონდა. დრო ყველაფრის მკურნალიაო და მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა, ქართულმა ეკლესიამაც თავისი ფუნდამენტური ადგილი ჰპოვა და ნელ-ნელა დაიბრუნა თავისი სულიერი წინამძღვრის ადგილი.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი ასპინძელთა სულიერების სამსახურში ჩადგა ხვილიშის ეკლესიასთან ერთად საროს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომლის მთავარი ფუნქციის დაბრუნებაში ეპარქიასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა ბიზნესმენმა, ასევე ასპინძაში სულთმოფენობის ტაძრის მშენებლობის მთავარმა მოთავემ, ასპინძის საპატიო მოქალაქემ **ემზარ ასპანიძემ**.

სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ ყოველწლიურად, უკვე ტრადიციულად, სოფელ საროში საზეიმოდ აღინიშნება მთავარანგელოზობა, სადაც სამღვდელოების სოლიდურ წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მრევლთან ერთად ამ დღეს დღესასწაულობენ როგორც რეგიონის, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მობრძანებული მრევლი.

წლევანდელ 21 ნოემბერსაც საროს მთავარადგელოზობის ეკლესიაში საზეიმო წირვა აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ, ადგილობრივ მრევლთან ერთად აქ იმყოფებოდა როგორც გუბერნიის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმოამდგენლებიც.

ახალი საუბნო გზა დამალაში



ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი.

ამ ეტაპზე გზის მოსაწესრიგებელი სამუშაოები მიმდინარებს. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ბესტ ტრანსი“ აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 398 056 ლარს შეადგენს.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განზაღვრულ ვადებში დასრულდება.

მოსაცდელები ოშოხაში

ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს პროექტების განხორციელება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელ ოშორაში მიმდინარეობს გზისპირა მოსაცდელების მშენებლობა.

პროექტი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, დასახლებაში გამართულ საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა და მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

აქტიურ ფაზაშია

ასპინძის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში დაბა ასპინძაში და სოფელ საროში მიმდინარეობს საბავშვო ატრაქციონებისა და ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს კომპანია შპს „ქილდა-2015“.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

გილოცავთ, წარმატებები!

ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აწყვიტის, დამალის, ივერიის, დაბა ასპინძის საჯარო სკოლების 2023-2024 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს: **გვანცა ივანიძეს, პოღოს ბალოიანს, რაზმიკ კერექციანს, ნინი კოჩალიძეს, ნინო ბაბელაშვილს, ხატია გვარამაძეს, ხატია გიორგაძეს, ანა ზედგინიძეს, მარიამ თედორაძეს, ჯარჯი მაგრაქველიძეს, დავით მურადაშვილს, სოფიკო ნათენაძეს** ულოცავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობას და დიდ წარმატებებს უსურვებს თითოეულ მათგანს ცხოვრების შემდგომ ასპარეზზე.

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

მილოცვა

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავს ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2023-2024 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის ყველა მედალოსანს ამ დიდ წარმატებას და თითოეულ მათგანს უსურვებს მომავალ წარმატებებს იმ უნივერსიტეტებსა და აკადემიაში, სადაც ამჟამად ისინი განაგრძობენ სწავლას და ეუფლებიან თავიანთ საყვარელ პროფესიებს.

ღმერთმა ჰქნას, გაემართლებინოთ ის დიდი იმედები და თავიანთი გამდიდრებული ცოდნით გამოსდგომოდნენ მშობლიურ ქვეყანას დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საქმეში.



ნინო ბაბელაშვილი. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

პოღოს ბალოიანი. დამალის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი. ამჟამად ილიას სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. 100 %-იანი გრანტი

ხატია გვარამაძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ხატია გიორგაძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ამჟამად თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

ანა ზედგინიძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ამჟამად თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

მარიამ თედორაძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი

გვანცა ივანიძე. აწყვიტის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

რაზმიკ კერექციანი. დამალის საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსანი. ამჟამად ივ. ჯავახიშვიულის სახელობის თსუ-ს სტუდენტი. 100%-იანი გრანტი

ნინი კოჩალიძე. ივერიის საჯარო სკოლა. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. 70%-იანი გრანტი



ჯარჯი მაგრაქველიძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსანი. ამაჟად თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

დავით მურადაშვილი. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი. 50%-იანი გრანტი

სოფიკო ნათენაძე. ასპინძის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი. 70%-იანი გრანტი

კიდევ ერთი განახლებული ობიექტი

რამდენიმე დღე და ისტორიის კუთვნილება გახდება 2024 წელი, წელი რომელმაც ბევრი სიკეთე მოუტანა ჩვენს მუნიციპალიტეტს. ძნელია ჩამოთვალო ყველა ის გაკეთებული საქმე, რაც ამ ხნის განმავლობაში ვიხილეთ როგორც დაბა ასპინძაში, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. დღეს ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ არც შიდა გზებზე, არც გარე განათებაზე, სისუფთავის დაცვაზე და სხვა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რადგან ყოველწლიურად მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები ოპერატიულად წყდება და მოსახლეობისათვის ახლა უკვე სხვა მათთვის საჭირო სამომავლო პროექტების განხორციელება დგება დღის წესრიგში, რომელთა ხორცშესხმა ერთიორად ზრდის მუნიციპალიტეტის მთლიან იერსახეს და მას თანამედროვე მოთხოვნების დონის დასახლებულ პუნქტებად აქცევს და მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების ყველანაირ პირობას უქმნის.

წლების მანძილზე ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაში უხდებოდა მუშაობა რიგ კულტსაგანმანათლებლო ობიექტებში დასაქმებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, რომელთა შორის ერთ-ერთი დაბის ცენტრში მდებარე მუსიკალური სკოლა და მთავარი ბიბლიოთეკაც იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ობიექტებზე ხშირად იმართებოდა რიგი მასობრივი ღონისძიებები, მათი ინფრასტრუქტურა სრულიად ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს და სწორედ ამიტომ, მერიის გადაწყვეტულებით, მოხდა ორივე ობიექტის სრული რეაბილიტაცია და წინასაახალწლო დღეებში იქ დასაქმებული პერსონალი მუშაობას საუკეთესო პირობებში გააგრძელებს და სათანადო მომსახურებას გაუწევენ ადგილობრივ მოსახლეობას, შესაბამისად აამაღლებენ ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს.

ცნობისათვის: პროექტის ფარგლებში შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია: დაიგო ლამინირებული პარკეტი, გაკეთდა თაბაშირ-მუყაოს ჭერი, მთლიანად შეიცვალა კარ-ფანჯრები, დარბაზში გაკეთდა შეკიდული ამსტრონგის ჭერი, განახლდა კიბეები, შეიცვალა ელექტრო სისტემა, კეთილმოეწყო საქმიანი ეზო და სხვ.

შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმე" აწარმოებდა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 355 980 ლარს შეადგენდა.

სპორტული მოედანი გურამიშვილზე

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია ასპინძის მუნიციპალიტეტში გრძელდება.

დაბა ასპინძაში გურამიშვილის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა მინი სტადიონი ხელოვნური საფარით და ლითონის ღობით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 164 565 ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ინდ/მეწარმე არტურ პეტროსიანი აწარმოებს.



სასპორტო ცხოვრება

მუნიციპალური თამაშები

,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-2025 „-ის ფარგლებში მუნიციპალური თამაშები ამჯერად ფრენბურთში გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების – ასპინძის, ნაქალაქევის, დამალის, რუსთავისა და ოშორის გოგონათა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ.

გამოვლინდნენ მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გუნდები.

ვაჟებში:

I ადგილი - ოშორის საჯარო სკოლა;

II ადგილი - ასპინძის საჯარო სკოლა.

გოგონებში:

I ადგილი - ნაქალაქევის საჯარო სკოლა;

II ადგილი - დამალის საჯარო სკოლა.

მონაწილეები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

თამაშების გამარჯვებული გუნდები 2025 წლის გაზაფხულზე საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

მატიანე

ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები შაგათოგაზე. ასპინძის კოლმეურნეობის ყანაში იღებენ სიმინდის მოსავალს. გასული საუკუნის 60-იანი წლები

ჩვენი წარსულის ფურცლები

***

ამ სოფელში დაბადებული ვარ. ჩვენ ვიყავით, ჩემო კეთილო, 45 სული ერთად. ოჯახის უფროსი იყო ბიძა ჩემი ვანოი. ვანოს ცოლი კი იყო ქალების უფროსი. მივდევდით მეურნეობას. ძროხა გვყავდა, ცხვარი, ცხენი, უკაცრავად ვიტყვი, ვირები. სამასი კაცი ყოფილან აქ თათრები, შემდეგ ჩვენ ავიყარენით 1918 წელს, წავედით საქართველოსაკენ და ცხრა თვე ვიყავით. ზოგი საგარეჯოში იყო, ზოგი სკრაში, ზოგი ბაკურიანში, მერე რაკი ითქვა: „თქვენ ადგილშიო ისევ მოდითო“, ჩვენ ჩვენ სახლებში დავბრუნდით. კარგი და გონჯი არ იყო მაშინ, ისევ ჩვენ სახლებში მოვედით.

იქიდან რო დავბრუნდით, თალანი (გატაცება) მოგვიწყეს, შვიდი კაცი მოგვიკლეს, დაიტაცეს ძროხა, ხარი, რამე და წავიდნენ. როდესაც რო გავიქეცით, მაშინ იარაღი გვქონდა, ჩვენ არ მივდიოდით აქედამა, მაგრამ მაშინ საქართველოს უფროსი იყო ჟორდანია და იმანა გვითხრა, უნდა წამოხვიდეთო და ავიყარენით. მერე თათრებმა თქვეს: „რა მაგარი ხალხი ყოფილა ხიზაბავრელები, რო არ შემოგვიშვეს ამდენი ხალხიო“.

ხიზაბავრის უფროს ეფრემას უძახდით ჩვენ, ისიც ველიჯანაშვილი იყო, ეს თათრის დროს იყო. რო დავბრუნდით, თათრები იყვნენ აქ, მერე წავიდნენ. როცა სოფლებიდან ბაკურიანში მოვიდნენ საროდან, ხიზაბავრიდან, კოთელიიდან, ვარგავიდან, ბარალეთიდან, ქართველი ხალხი ვინც იყო სკრიდანაც იყო მოსული. მითხრეს ქაშავაში (მზარეული) იყავიო. საქართველოს ჯარი ახალქალაქს რო ამოვიდა, მაშინ გამოგვიშვეს ბაკურიანიდან ჩვენ. აქ ტუნელი იყო და მანდ აფარებდნენ ძველად თავს. ლეკებმა ხიზა, ვარანტა, ოსპნაური გაავერანეს, ხიზაბავრას კი ვერაფერი უყვეს. ყოჩაღი ხალხი იყო. ქვევით წავიდნენ, თევზი დაიჭირეს, ამოვიდნენ, ამოიტანეს, მოხარშეს, ცხელი პურიც დატოვეს ქვაზე, მერე როცა მოვიდნენ, ლეკის უფროსები, თქვეს: „ჩვენ, ამას, ხიზაბავრას, ვერაფერს უზამთ.“ ხიზა რო გაავერანეს, აქეთ გადმოიტანეს სიტყვა რაღა, ძალა, აქ კი ბავრა იყო და შეუერთდა. გახდა ერთი სოფელი ხიზაბავრა. ჩვენი ეკლესია იესოს გულზე იყო. აქ იმართებოდა ქრისტეს აღდგომა, ყველიერი, შობა. გვალვა რო დადგებოდა, ღვთისმშობელ გამოასვენებდნენ გარეთ და შეეხვეწებოდნენ. უიმისოდ არაფერი არ შეიძლება. აქ რამდენიმე თათარი ცხოვრობდა, ისინი იტყოდნენ ხოლმე „ქრისტიან სოფელში სეტყვა არ იქნება, არც მოვიდოდაო“.

***

ომამდე ამ სოფელში 800 კომლი იყო. აქედან წავიდნენ ყვარელის რაიონში სოფ. სანავარდოში, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაა და სოფელ მთის ძირში, ლეკები ცხოვრობდენ, იქიდან გადაასახელეს და ჩაასახლეს ესენი. ლაგოდეხის რაიონში სოფ. ხიზა და სოფ. ხიზაბავრა (აქედან წაღებული სახელებია. ბუდიონოვკაში რუსები ცხოვრობენ და იქ არის 50 კომლამდე. გორის რაიონში – სოფელი ახალ-ხიზაა, ს. სვენეთი – ტირიფონის ველზე, ახალქალაქის რაიონში სოფ. გოკიო, ადიგენის რაიონში სოფ. ქიქინეთი, ახალციხის რაიონში სოფ. თისელი, – თითოში 50 ოჯახია. სულ გამოანგარიშებულია მთლიანად 1900. გაბნეულები არიან წალკის რაიონშიც, აბასთუმანშიც. 1908 წელს წასულან გორის რაიონის ახალ ხიზაში, საციციანოში: ზურაბაშვილები, მურადაშვილები, მუგასაშვილები, კეღოშვილები, ბალიაშვილები და დასახლებულან იქ. ჩვენი სოფლის მოსახლეობის გვარები ბოლოვდება შვილზე, თედორაძე და ანთაძეა მხოლოდ ძეზე რო მთავრდება.

მთქმელი პავლე გიორგის ძე ველიჯანაშვილი 81 წლის, სოფელი ხიზაბავრა. 1960 წელი.

ნინო ღოღობერიძე, მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციის დღიური

სპორტული ტრენაჟორები ჭობარეთში

ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს პროექტების განხორციელება.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ჭობარეთში გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორები მოეწყო.

პროექტი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, დასახლებაში გამართულ საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა და მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია